572/
1980/2

ISSN 0132-5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1980 ოქტომბერი N10

ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფერისცვალება

ძია საჩინო და ცისია გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქუთაისის ერთი ძველი უბნის პატარა ჩიხში. ძია საჩინო მძღოლია, მშენებლობაზე მუშაობს. სამუშაოზე მუდამ ფეხით მიდის, შინაც ფეხით ბრუნდება. ჟრიამულით ეგებებიან ბავშვები. ისიც სათითაოდ ჩამოურიგებს ხოლმე ფოჩიან კანფეტებს. საღამოობით კი ჭიშკართან ხის მორზე ჩამოსხდებიან და ყვება ძია საჩინო ამ მთისას და იმ ბარისას.

ასეა აქ ყოველთვის.

ამიტომაც გაისმა უჩვეულოდ ძია საჩინოს ჭიშკართან თვითმცლელის გრუხუნი.

მეზობლები ფანჯრებს მოაწყდნენ. ბავშვები — ცისია, ბადრი, გოჩა და ასმათი მანქანას შემოეხვივნენ.

„კაზ-608". — ძლივძლივობით ამოიკითხა ცისიამ — ცისია პირველ კლასში იყო და რუსულ წერა-კითხვას ახლა ეუფლებოდა.

— რას ნიშნავს კაზ? — შეეკითხა ის ძია საჩინოს. ეს რუსულია, შემოკლებული — Кутаисский автомобильный завод, — აუხსნა ბავშვებს ბიძია საჩინომ.

— იმ დღეს მეზობლები ამბობდნენ, საჩინო ჯაბახანაზე ზის, ამიტომაც არ მოჰყავს თავისი მანქანა ჩიხშიო. მე ვუთხარი, ძია საჩინო ისეთი კაცია, ჯაბახანაზე არ დაჯდება-მეთქი. — თქვა გოჩამ.

— აქამდე მართლაც ძველ მანქანაზე ვიჯექი, მაგრამ ვერ ველეოდი და იცით რატომ? მანქანა ქუთაისური იყო, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დამზადებული იმ დროს, როცა მე იქ ვმუშაობდი. სანამ ეს ახალთახალი მანქანა არ მომცეს, ვერ დავთმე, — გადახედა თავის თვითმცლელს საჩინომ და ბავშვებს მიმართა:

— გინდათ გიამბოთ, როგორ შენდებოდა ავტოქარხანა?

— გვინდა, გვინდა...

ბავშვები მორზე ჩამოსხდნენ, ძია საჩინოც აქვე მოკალათდა და დაიწყო:

— მაშინ მე თქვენოდენა ვიყავი. გვიმრითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ მაღლაკის უზარმაზარ ველზე თხებსა და ხბორებს ვმწყემსავდით მე და ჩემი ტოლები. ერთ დღეს თამაშში გართულებს ორი მამაკაცი წამოგვადგა თავს. მხრებზე ზურგჩანთები ჰქონდათ მოკიდებული და ხელში ჭოგრიტები ეჭირათ. ერთი წონწოლა იყო, მეორე ჩოფურა. ერთი სული გვქონდა გაგვეგო, რისთვის იყვნენ მოსულები. მაშინ მთებს გადაღმა ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა და ვფიქრობდით, იქნებ იქედან მოვიდნენ-თქო.

— ჩვენ გეოლოგები ვართ, — თქვა ბოლოს წოწოლამ, — მალე ამ ველზე ქარხნის მშენებლობა უნდა დაიწყოს და გრუნტს ვსინჯავთო. გრუნტი, შვილებო, მიწის ზედაფენას ჰქვია — ვიდრე რაიმე მშენებლობას დაიწყებენ, მის სიმყარეს სინჯავენ ხოლმე. ერთი სიტყვით, წოწოლამ გვიამბო, რომ მაღლაკის ველის შუაგამყოფი ვიწრო მოხრეშილი გზა მალე ფართო, ასფალტირებულ საავტომობილო მაგისტრალად უნდა ქცეულიყო, რომლითაც სამშენებლო მასალებს მოზიდავდნენ. და მერე კი აშენდებოდა უზარმაზარი ქარხანა, ბევრი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მაღაზიები, საბავშვო ბაღები, სკოლები... ზუსტად ისე აგვიწერა იქაურობა,როგორიც დღეს არის. იმ დღეს გადავწყვიტე გუნებაში, უსათუოდ ავტომშენებელი გავმხდარიყავი.

გავიდა დრო. დამთავრდა ომი. 1946 წელს მაღლაკის ველს საავტომობილო ქარხნის მშენებელთა პირველი ქარავანი მოადგა. სწორედ მაშინ დავამთავრე შვიდი კლასი და დედას განვუცხადე: ქუთაისის სახელოსნო სასწავლებელში ვისწავლი და ავტოქარხანაში ვიმუშავებ-მეთქი.

დედამ შეიცხადა: ხომ არ გაგიჟდიო. სახელოსნო სასწავლებელში იმათ გზავნიან, ვინც ცუდად სწავლობენ, შენ კი ხუთოსანი ხარ და რა ღმერთი გიწყრებაო, მაგრამ არ დავიშალე.

ორ წელიწადში დავამთავრე სახელოსნო სასწავლებელი და ხარატად დავიწყე მუშაობა სარემონტო-მექანიკურ საამქროში.

მაშინ ქარხანა ფეხს იდგამდა, მანქანების ნაწილებს უმეტესად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქარხნებიდან ეზიდებოდნენ, აქ აწყობდნენ და მართავდნენ. ბევრი, ძალიან ბევრი მუშახელი სჭირდებოდა. მოდიოდნენ ახალგაზრდები ახლომახლო სოფლებიდან და ქალაქის შესასვლელში მათთვის საგანგებოდ აშენებულ ბინებში სახლდებოდნენ, ახლა ქუთაისში ... ადგილს ავტოქარხნელთა დასახლება ჰქვია.

1951 წელს ჩამოვიდა კონვეიერიდან პირველი ქართული ავტომობილი — ავტომანქანა „კაზ 50".

1951 წლის 18 აგვისტოს ქუთაისში დიდი ზეიმი გაიმართა. წინ ჩვენს მიერ გამოშვებული ავტომანქანა მიგვიძღოდა, მას სოციალისტური შრომის გმირი ბორის ვაშაკიძე მართავდა. ჩემს გვერდით მოდიოდა ჩემი კოლეგა, ცნობილი გამომგონებელი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე. ბავშვები ყვავილებს გვაყრიდნენ.

მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. გაიზარდა და დავაჟკაცდა ქუთაისის ავტოქარხანა. გაიზარდნენ ახალი სპეციალისტები და შექმნეს ახალი და ახალი ტიპის მანქანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიც მუშაობენ. ახლახან კიდევ ერთი ახალი ავტომატარებელი გამოუშვეს, აი, ასეთი — მიუთითა თავის მანქანაზე ძია საჩინომ, — ადვილად სამართავი და ძალიან მოხერხებული მანქანაა და ამიტომ ხარისხის ნიშანიც მიანიჭეს. ახლა კი ქუთაისის ავტოქარხანაში დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. იცით რას ნიშნავს რეკონსტრუქცია? — განახლებას. ძირფესვიანად გადაკეთებას, გაუმჯობესებას. ჰოდა, მალე ქარხანა მთლიანად განახლდება. აქ დამზადებული ახალი ტიპის ავტომატარებლები თავისუფლად იჯირითებენ სოფლებსა და ქალაქებშიც.

— მერე ძია საჩინო? — დაარღვია სიჩუმე ასმათმა.

— მერე ჩემო კარგებო, თქვენც დაიზრდებით და თქვენის მხრივ ბევრ ახალს შემატებთ ქართულ ინდუსტრიას. — ღიმილით დაასრულა ძია საჩინომ და ბავშვებს ტკბილი ძილი უსურვა.

გ. აგდალაძე

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

16.407

მეცამეტე გოჯი

აკაკი გეწაძე

— ჭყვიიი, ჭყვიიი, ჭყვიიი! — ერთად ჭყივის დედის მუცელზე მისეული თორმეტი სუნტულა გოჯი.

ყველაზე პატარა, ნაბოლარა გოჯი, მეცამეტე, უსუსური დინგით ცდილობს თავისი დებისა და ძმების ზლუდე გაარღვიოს და თვითონაც მისწვდეს დედის ძუძუს, მაგრამ, ამაოდ. დედა ღორს მხოლოდ თორმეტი ძუძუსთავი ასხია და თორმეტივეზე უკვე თითო გოჯი ჰკიდია.

გაჩენისთანავე დაინაწილეს გოჯებმა დედის ძუძუ და ყველაზე პატარას, მეცამეტეს აღარ

ერგო. ახლაც ახლო არ იკარებენ. ძუძუზე პირისმოუშორებლად ხან თავს გაჰკრავენ ნაბოლარას, ხან მხარს, ხანაც მოკლე კუდს მოუქნევენ—მოგვშორდი, შე მეცამეტე გოჯო, ხომ ხედავ, ზედმეტი ხარო.

მეცამეტე გოჯმა და-ძმების ზლუდის გარღვევა ერთხელ სცადა, ორჯერ, სამჯერ... შვიდჯერ, ცხრაჯერ... თორმეტჯერ და... მეცამეტედ კუდი სინანულით გაქნია, მსუნაგ და-ძმებს თავი მიანება, გზაზე გადგა და მერე კი საზრდოს ძებნა მინდორში თვითონ დაიწყო.

ციცქნა დინგით პირველად რის ვაივაგლახით ზერელედ გადაჩიჩქნა მიწა და როგორც იქნა, იპოვა ბალახის ფესვი. ეგემრიელა თავისი ნაოფლარი.

მეორე დღესაც მიეძალა მიწას, ჩიჩქნა, ჩიჩქნა პატარა დინგით და ახლაც იშოვა საზრდო.

მერე დინგი თანდათან გაულონივრდა, კბილებიც გაუმაგრდა, თვითონაც გათამამდა და მიწას უფრო გულმოდგინედ შეუტია.

მიწა იქცა მის მარჩენლად.

და-ძმებთან შებრძოლება არც უფიქრია, მათკენ ცალი თვალითაც აღარ გაუხედავს მერეც კი, როცა ორი ძმა გაუყიდეს და დედის ძუძუსთან ადგილი გათავისუფლდა.

და-ძმები ნელა იზრდებოდნენ, მეცამეტე გოჯმა კი ერთბაშად აიყარა ტანი, ყველაზე მარდი, ღონიერი, შეუპოვარი, საქმიანი, მოხერხებული და კეთილი გახდა. დიახ, კეთილიც, რადგან არავისი არაფერი შურდა, არავის არაფერში ეცილებოდა, თავის თავს თვითონვე ირჩენდა, თვითონვე უვლიდა, ზოგჯერ კი სხვებსაც ეხმარებოდა, თავის ნადავლს უყოფდა.

ყველამ შეიყვარა მეცამეტე გოჯი.

წინათ თუ სოფელში ხშირად გაიგონებდით, რა გაჭყვირებს მეცამეტე გოჯივითო, ანდა—სხვის საქმეში მეცამეტე გოჯივით ნუ ეჩრებიო, იმ მუყაითი გოჯის შემხედვარე ხალხმა ეს სიტყვები მალე ასე გადააკეთა:

— რა ყოჩაღი, გამრჯე და კეთილი ხარ მეცამეტე გოჯივითაო.

ხალხმა კარგად იცის, ვის რა პატივი ცეს.

მხატვარი ნანა სულემენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაენა

ბავშვებო! ხომ იცით რა არის დედაენა? დ ე დ ა ე ნ ა ის ენაა, ამქვეყნად გაჩენილებს პირველი რომ ჩაგესმათ ყურში — დედის ალერსიანი სიტყვით; ის ენა, რომელზედაც ენა ამოიდგით და რომელმაც პირველმა დაგაკავშირათ ადამიანებთან, თქვენს გარშემო არსებულ ქვეყნიერებასთან...

და კიდევ „დ ე დ ა ე ნ ა“ წიგნია და ამ წიგნში ჩასახლებულია თქვენთვის ნაცნობი და მახლობელი სამყარო...

ა ი ი ა გიღიმით წიგნის ფურცლებიდან, ა ი ხე, ვაზი, პეპელა... ა ი მზე გაფრქვევთ სხივებს. დედა გეხმიანებათ ტკბილქართულით, თქვენი დ ე დ ა ე ნ ი თ... ოლონდ ეს თქვენთვის ნაცნობი საგნები და არსებები ასოებით არიან ჩამოსხმული. რომ თქვენ, მომავალ განათლებულ. ქვეყნისთვის გამოსადეგ ადამიანებს წერა-კითხვა გასწავლონ.

ას წელზე მეტი ხანია, რაც „დედაენა“ ქართველი ბავშვებისათვის შეადგინა დიდმა მოღვაწემ. პედაგოგმა და მწერალმა იაკობ გოგებაშვილმა.

და განა მარტო „დედაენა!“ მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა იაკობ გოგებაშვილი, რათა ბავშვებისათვის სწავლა გაეადვილებინა და შეეყვარებინა, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეცა — არა მარტო წერა-კითხვა ესწავლებინა, არამედ ადამიანების. ბუნების. სამშობლოს სიყვარული და გარჯის სურვილიც ჩაენერგა.

25 წლისამ შეადგინა მან „დედაენის“ წინამორბედი — „ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი დ ა პ ი რ ვ ე ლ ი ს ა კ ი თ ხ ა ვ ი წ ი გ ნ ი“; მ ე რ ე „დ ე დ ა ე ნ ა“, „ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი. „კ ო კ ო რ ი“. „კ უ ნ წ უ ლ ა“, „ხ ო მ ლ ი“, „ა კ ი დ ო“. „კ ო ნ ა...“ დააკვირდით ამ მშვენიერ სათაურებს! ამ წიგნებში აკინძული. ასხმული. შეკონილია სიბრძნის მარგალიტები — ლექსები. გამოცანები. ანდაზები. მოთხრობები ბუნების მოვლენებზე, ცხოველ-ფრინველებზე. მცენარეებზე;

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ადამიანების ზნეზე. მათ სიავკარგეზე.

„ბუნების კარში“ არის მოთხრობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე, მათი მდებარეობის თავისებურებებზე, აქაურ ადამიანებზე. აი, მაგალითად, რა წერია რაჭაზე:

ჩვენი პირველი გეოგრაფი ვახუშტი მოგვითხრობს: „ერთი ქართველი მონადირე კაცი, რომელიც პირველად აქ დასახლებულა, ასულა იმერეთიდან ნაქერალაზე, იმერეთის მოსაზღვრო მთაზე და გადაუხედნია რა იქით, განცვიფრებულა ამ ღრმა და ვიწრო რიონის ხეობაზე, მიუმსგავსებია ეს მხარე ჭას და დაუძახია: „ეს რა ჭა ყოფილაო.“

აი პატარა მოთხრობა საოჯახო საკითხავი წიგნიდან:

სეტყვა და თოვლი

სეტყვა ზაფხულში აი, როგორ გაჩნდება ხოლმე. როცა ზევიდან წვიმა წამოვა და გზაზედ ძლიერ ცივი ქარი ან ჰაერი დაუხვდება, მაშინ წვიმის ნამები გაიყინებიან და ჩამოცვივიან ძირს, ამას ვეძახით ჩვენ სეტყვასა. რამდენიც უფრო მსხვილი წვიმა მოდიოდა, იმდენი მსხვილი სეტყვა იქნება ხოლმე. თუ რომ ორთქლმა ვერ მოასწრო წვიმის ნამებად გადაქცევა და უეცრად გაცივდა და გაიყინა, მაშინ გაჩნდება თოვლი. მაშასადამე, თოვლი არის გაყინული ორთქლი, სეტყვა კი გაყინული წვიმის ნამი.



აი, როგორ გვაცნობს იაკობ გოგებაშვილი უქნარა ადამიანს — მოთხრობას დაცინვიო, ჰქვია

ბეჯითი ბატონი

გამხადეთ. დამაწვინეთ, დამხურეთ, დაძინებით კი მე დავიძინებ.

აი, როგორია

მოსიყვარულე ამხანაგი

მინდორში წაველ სწორებო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს,
თქვენი ხმა არ მომდიოდა.

ვინ მოთვლის რამდენი ხალხური ანდაზა. გამოცანა, ენის გასატეხია შეგროვებული ი. გოგებაშვილის წიგნებში. აი, ზოგი მათგანი.

ანდაზები: ამანათს მგელიც შეინახავს.

სხვისა ხელით ნარს ნუ მოგლეჯ, ეკლიანი ბალახია.

ირემმა ირემს ბალახი აუშვირა, არც მე მაკლია, არც შენო, მაგრამ ერთმანეთის გულის დადებაო.

ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო.

ჩქარა გამოსათქმელები:

—ტყუპი ტყლაპი ტყავზე დავდე.

თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები

1. აბლი, ბაბლი, ვერცხლის
ტახტი,
მზით ავიღე მთვარით დავდგი.

2. ერთი რამ უცხო მავალი
გვერდით ჩნდა, გამიკვირდაო,
თუ გავიქეცი, გამომყვა,
თუ დავდექ, დადგა ისაო,
თუ ხელში რამე ავიღე,
მან ბარგი აიკიდაო,
— თქვენი ჭირიმე, მიშველეთ
ეს რა გადამეკიდაო.

3. გლეხს მიჰყავდა მგელი და
თხა. თანაც თივა მიჰქონდა. მი-
ადგა ერთ მდინარესა. გაღმა ნა-
ვით უნდა გასულიყო. ეს ნავი
ისე პატარა იყო, რომ კაცის
გარდა თითო რამის მეტი არ
ჩაეტეოდა. ამიტომ თავისი სა-
ქონელი გლეხს ცალ-ცალკე უნ-
და გაესხა. მაგრამ ის კი უნდა
მოეხერხებინა, რომ არ დარჩე-
ნილიყო მგელი თხასთან და თხა
თივასთანა. გლეხმა ბევრი იფიქ-
რა და ბოლოს მშვიდობით გა-
ვიდა თავის საქონლით იქითა
ნაპირსა. აბა გამოიცანით, რა
ხერხი იხმარა გლეხმა?

1883 წელს იაკობ გოგებაშვი-
ლის თაოსნობით და დახმარე-
ბით გამოვიდა პირველი ქარ-
თული საბავშვო ჟურნალი „ნო-
ბათი.“ პირველ ნომერში სხვა-
თა შორის დაბეჭდილი იყო
ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის
ტბა“ და ვაჟა-ფშაველას „შვლის
ნუკრის ნაამბობი“. თქვენ ალ-
ბათ ჯერ ყველას არ წაგიკი-
თხავთ ეს ნაწარმოებები — უსა-
თუოდ წაიკითხეთ ან უფრო-
სებს სთხოვეთ წაგიკითხონ და
რასაც ვერ გაიგებთ, აგიხსნან.
კიდევ, უსათუოდ უნდა გაიცნოთ
იაკობ გოგებაშვილის მოთხრო-
ბები. მან ეს მოთხრობები ჩვენი
მშობლიური საქართველოს დი-
დი სიყვარულით დაწერა და თა-
ვისი დროის და მომავალ დრო-
თა ქართველ ბავშვებს აჩუქა.
ესენია: „იავნანამ რა ჰქმნა?“
„ერეკლე მეფე და ინგილო ქა-
ლი“, „ასპინძის ომი“ და სხვანი.

ბავშვებო! იაკობ გოგება-
შვილს ცოლ-შვილი არ ჰყავდა
და სიბერეში ძალიან წუხდა,
რომ მემკვიდრე არა რჩებოდა.
ამაზე აკაკიმ უთხრა—რას და-
ნდობ, ჩემო იაკობ,მთელი საქარ-
თველოს ბალღები სულ შენი
შვილები არ არიანო.

განა მართლაც ასე არ არის?

ციცინო გამყრელიძე

ნანა ღვინეფაძე

მზიას, ლიას...

შენ რა გქვია, მზის სადარო?—
— მზია!
— შენა?
— ლია!
თქვენს თვალებში,
თქვენს სახელში
შეყუჟულა ია...
თქვენებრ მორცხვი,
თქვენებრ ნაზი
ისიც ხარობს მზეზე,
და შეგხვდებათ დედაენის
პირველსავე გვერდზე.
ახლა თუკი დაშიხატავთ
თვალჟუჟუნა იას,
ამ ლექსს თქვენთან გამოვატან
ფოსტალიონ—ნიავს!

მოკითხვის ბარათი

ა რ ა ა კ ი

უნდა გიამბოთ პატარა
და უცნაური ამბავი:
ერთმა ბეჯითმა ბიჭუნამ
ფისოს ასწავლა ანბანი.
ფისომ თქვა,—თავს გამოვიჩენ
მე ჩემი ანაბანათი!
და თაგვს სოროში ჩაუგდო
გრძელი მოკითხვის ბარათი.
ალბათ მიხვდებით, რა დღეშიც
ჩავარდებოდა თაგუნა,
იმ დათაფლულმა წერილმა
რა მწარე ხვედრი არგუნა.
— გამომიტყუა, მაწამა
იმ ხატაურამ ცბიერმა,
ისეთი შიში მაჭამა
აღარ შემხვდება ციება...
თაგვის ამ დაჩივლებაზე
— შევცდიო,—ბიჭი გამოტყდა;
და კატას ყოფაქცევაში
ცუდი ნიშანი გამოყვა!

რა საქმის მანქანა?

ადამიანს თვალები იმისათვის აქვს, რომ ქვეყანა დაინახოს.

ხელები იმისთვის, რომ სასარგებლო საგნები გააკეთოს.

ტვინი იმისთვის,—იფიქროს, გამოიგონოს, შეთხზას.

დიდი, დიდი ხნის წინათ ადამიანმა გამოიგონა ბორბალი, შემდეგ ისწავლა ლითონის გამოდნობა. მერე კი ნახშირიდან, ნავთობიდან, წყლიდან უჩინარი ძალა—ელექტროენერგია მიიღო.

ადამიანმა შექმნა ათასნაირი მანქანები. და ახლა ისინი ადამიანს ემსახურებიან, შრომასა და ცხოვრებას უადვილებენ.

ბორბლიანმა მანქანამ ადამიანს მგზავრობა გაუადვილა, ფრთიანმა მანქანამ იგი ჰაერში აიყვანა.

მანქანა ადამიანს სიმძიმეს აწევინებს.

სახლებს, ქარხნებს, კაშხალებს აშენებინებს.

ტყეს არგვევინებს, ცომს აზელინებს.

ფოლადს აჰრევინებს, უდაბნოს არწყევევინებს.

ხორბალს ათესინებს და ამკევინებს.

ძროხებს აწველინებს და ცხვარს აპარსვინებს.

ვინ მოთვლის, ქვეყნად რამდენი პროფესიაა და ყველა პროფესიის ადამიანს ჰყავს თავისი თანაშემწე-მანქანა. ეს არის დაზგა, მრიცხველი, თვითმავალი, თბომავალი, რაკეტა, თვითმფრინავი, ამწე, ბეტონსარეველა, ქვისმთლელი, ავტომობილი, კომბაინი, ტრაქტორი, ყველას რა ჩამოთვლის!

ეს მანქანები ადამიანს ძალას უასკეცებენ, უათასკეცებენ, ეხმარებიან, რომ იგი გახდეს დედამიწის, ოკეანის, ცის განმგებელი.

ეხმარებიან, რომ შორს გაიხედოს!

მეტი იცოდეს!

ბევრი რამ შეძლოს!

ამიტომ ადამიანი სულ ახალ და ახალ მანქანებს იგონებს.

ყველა აქ ჩამოთვლილ მანქანას ადამიანი ამოქმედებს. აბა, თვითმფრინავი როგორ გაფრინდება უმფრინავოდ? ვინ წაიყვანს მატარებელს, როგორ წავა მანქანა, თუ საჭესთან ადამიანი არ იქნება!

მაგრამ არიან ისეთი მანქანები, ადამიანის ნაცვლად რომ მოქმედებენ, დამოუკიდებლად დადიან, შრომობენ...

ცხადია, სიარული, შრომა, ესა თუ ის პროფესია მანქანას ადამიანმა შეასწავლა და მანქანაც ბეჯითად ასრულებს ადამიანის ბრძანებას.

მაგალითად, ადამიანი უბრძანებს მანქანას:

— კოსმოსური ხომალდიდან ჩამოდი, მთვარეზე გაიარ-გამოიარე, ორმო ამოთხარე, დედამიწაზე მთვარის მიწა წამოიძღვანე, თანაც არ დაგავიწყდეს, ფოტოსურათი გადაუღე იქაურობასაო.

მსგავსი ბრძანება ადამიანს ასი წლის წინათ რომ გაეცა, გიჟიაო, იფიქრებდნენ.

დღეს კი არსებობს მანქანა, რომელიც ასეთ ბრძანებას ემორჩილება. მას მთვარემავალი ჰქვია.

მთვარემავალი მთვარეზე ავიდა. იგი იქ რაკეტამ აიტანა.

ახლა ოკეანის ფსკერზე რა ხდება, ეს როგორღა გინდა გაიგო? ადამიანი იქ ვერ ჩააღწევს—წყლის სიმძიმე ლავაშივით გააბრტყელებს.

მაგრამ ლითონის მანქანას წყლის დაწოლისა არ ეშინია, ადამიანი უბრძანებს მყვინთავ მანქანას: ჩაყვინთე ოკეანის ფსკერზე, ნახე იქ როგორი თევზები დაცურავენ, როგორი წყალმცენარეები ხარობენ, თანაც ლითონის ჰეშვით ფსკერის შლამი წამოიღეო.

უბრძანებს და მყვინთავი მანქანაც ასრულებს მის ბრძანებას.

აი, როგორი მანქანები შექმნა ადამიანმა.

ეს მანქანები მას ხელის, თვალის, ფეხის მაგივრობას უწევენ, ადამიანის ნაცვლად დადიან, ადამიანის ნაცვლად ხედავენ, ადამიანის ნაცვლად ისმენენ, მუშაობენ.

მხატვარი
ვაჟა გელაშვილი





თაგუნია ათანასე

ზოთა ხოდაშნელი

თაგუნია ათანასე
ეუბნება შვიდებს ასე:
— შენ კაკლისთვის გაეშურე!
— შენ სოკოზე!
— შენ კი—თხიზე!
— შენ ხორბალი მოიტანე!
— კუდა გავაგზავნოთ ფქვილზე!
ქალაქში რომ წისქვილია,
სიმინდს ვფქვავდი იმ კვირია.
რასაც ახლა შემოდგომით
ვიშოვით და შევინახავთ,
ის ზამთარში გატკბილდება,
თვით მიხვდებით, თვითონ ნახავთ.
— კარგი, მამა, ასე ვიზამ—
კუდა მამას შესციცინებს,
— მაგრამ ცოტა მეშინია,—
კატა დადგა მეწისქვილედ.

შევარიგებ

ნელი დარსაველიძე

ჩემს ფისოს და ცუგრიას
თვალიდან ვერ ვიცილებ,
ცელქობენ და ჩხუბობენ,
აშინებენ წიწილებს.
როცა ჩხუბობს ფისუნა,
აპრეხილი კუდი აქვს...
„ჰამ-ჰამ“—ფისოს არ ესმის,
„მიავ-მიავ“—ცუგრიას.
ღილით ფისომ კნავილით
ყურთასმენა წაიღო;
მისი ენა ცუგრიამ
ვერა და ვერ გაიგო.
შევარიგებ ონავრებს,
რაც არ უნდა მაწვალონ,
ფისოს ენა როგორმე
ცუგრის უნდა ვასწავლო.

სამი ბურთი

ზაქარია შერაზადაშვილი

აქეთ გორაო,
იქეთ გორაო,
ბურთი გაჩერდა,
ზღარბი გორაობს...
ხეზე ჰანტას რომ
ჯაღდა, არჩეოდა,
დათვი დაგორდა,
ბურთი გაჩერდა.
რომ ვერაფერი
ვერ მოიგონეს,
ბურთის მაგიერ
თვითონ იგორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანჩა

შალვა ფუბლაძე

გრძელკანჭებას,
გრძელნისკარტას
იქ ნუ ეძებთ ყანჩას,
სად ბაყაყი არ ყიყინებს,
სადაც ჭონჭყო არ ჩანს.
მიადგება სკუპა-სკუპებს,
რიგრიგობით სანლსავს.
მე შენ გეტყვი შეწვა უნდა,
ან ჭირდება სარშვა.
ცალ ფეხზე რომ აიწევა,
ნისკარტს ფრთაში გაჩრის.
სადილს უცებ მოინელებს,
ლოდინშია ვახშმის!

რთველი

ავთანდილ მეგრელიშვილი

საწნახელში პაპა
ფეხით წურავს მტევნებს.
ღაღისფერი ტკბილით
მამა ავსებს ქვევრებს.
კარდაღას დგამს ცეცხლზე
კოხტა ბიჭი სავღე,
და ჩურჩხელებს ბებო
თათარაში ავღებს.
დედა ჰერზე კიდებს
რქაწითელის ჯაგნებს.
დიდ-პატარა ვშრომობთ,
არ გვეღევა საქმე.
გვავიწყდება ძილიც,
აღარ გვახსოვს დაღლა,
ცუგოსაც არ სძინავს,
დახტის ალმა-ალმა.

კაკლის მბერტყავი

ევგენი ბართაია

კაკლის ხეზე ავედი,
ტოტებს ჭოკი დავკარი...
ხეს აუტეხა კანკალი—
ჩამოსვავდა კაკალი.

ენის გასაგები

ნაბუქოდონოსორ მეფე განაბუქოდონოსორმეფდა, როგორც განაბუქოდონოსორმეფდა, ისე გამონაბუქოდონოსორმეფდა.

ზღაპარი დედამიწის გულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ქუხიანიძე

1

ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო,
არც მანასე,
არც იონა,
არც ვახუშტი და არც ნიკო,—
ერთი კაცი დადიოდა.
თუკი იყო გასაჭირში—
ხან მღეროდა,
ხან ფიქრობდა...
ხან უშგულში,
ხან შატილში
ერთი კაცი დადიოდა.
და სიკეთით სავსე გული
ხან უთრთოდა,
ხან ტკიოდა,
საქართველოს სიყვარულით
მაინც ლაღად დადიოდა.
დადიოდა წყნარად, თითქოს
ბუჩქის ძირა ის კრეფდა...
არც ნატვრისთვალს
და არც ხვითოს
და არც ოქროს დაეძებდა,
ხან მცხეთაში,
ხან ხევთაში,
ხან ცხელოდა,
ხან ციოდა;
ხან დინჯად და
ხან ფრთებგაშლით
ერთი კაცი დადიოდა.

2

დადიოდა მტკიცე ფიცით,
ხან მარჯვე და ხან დაღლილი,
დაეძებდა დედამიწის
გულთან მიმსვლელ გზას და ბილიკს.
გზას დაადგა ერთხელ, იით
დამშვენებულს და მოქარგულს,
და მიადგა სათაფლიის
საარაკო გამოქვაბულს.
იარა და, იარა და
ზღაპრულ მღვიმის გაბმულ გზების
ღამეც გაიზიარა და
ფრთის ფარფატი ღამურების.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა გზას რალას ინატრებდა,
წინ ილტვოდა გაღიმებით,
ბნელში ბილიკს ინათებდა
ბროწეულის ყვავილებით.
მეცხრე დღეზე დედამიწის
ნახა გული გაცისკრული,
და გაოცდა,
ძგერდა ისიც, ისე, როგორც კაცის გული.
გაიფანტა წამს ბინდბუნდი
და ამ კაცის მოსალხენად
თრთოდა გული—ცეცხლის ბურთი,
ამოიდგა მერე ენა...
დაბარა გულმა თქვენთან:
— თუ მშვიდობას ვერ დაიცავთ,
შეჩერდება ჩემი ფეთქვა,
გაცივდება დედამიწა.
თუ გინდათო, შეისრულოთ
ფიქრი, ნატვრა
და ოცნება,
გაუფრთხილდით დედის გულსო,
ყველაზე დიდ საოცრებას.
გაუფრთხილდით მამის გულსაც,
მეგობრის გულს,
ჩიტის გულსაც,
ნუ აკადრებთ ნატისუსალს,
ნურც მიკიბულ-მოკიბულსაც.
გქონდეთ გული გასარკული,
დიდია თუ ანდა ჩია;
გაუფრთხილდით,
რასაც გული,
თბილი გული გააჩნია.

3

ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო,
არც მახარე,
არც იოთამ,
არც თედორე და არც ნიკა,—
ერთი კაცი დადიოდა.
არც ლაზარე,
არც ირონდი,
არც მიხო და არც ალექსი,—
ეს მე,
ეს მე დავდიოდი,
თქვენთვის ზღაპრის გასალექსად.

ჩიტალეღვი

მარგო თომაძე

ძალიან ლამაზი იყო ბებერი ლეღვის ხე. ბუჩქივით მრგვალი, მოქნილი. სამი ტოტი თითქმის მიწამდე ჰქონდა დახრილი. ფართო, ხაოიანი ფოთლები სულ ერთთავად შრიალებდნენ. პატარა შავი ლეღვები ჩიტის თვალებივით იყურებოდნენ. როცა ეს ერთი ბეწო ჩიტალეღვები გადამწიფდებოდნენ, პირს შაშვივით აღებდნენ და ყუნწამდე გახლეჩილები სასაცილოდ იკრიჭებოდნენ.

ეს ლამაზი ლეღვის ხე საბავშვო ბაღის ეზოში იდგა. ადრე მწიფდებოდა. ჩიტებს უყვარდათ მწიფე ლეღვი, ფუტკრებივით ეხვეოდნენ, უნისკარტებდნენ.

ბავშვებს ძალიან მოსწონდათ ლეღვის ხის დაბლა დახრილი ტოტები.

— დილა მშვიდობისა, ჩიტალეღვო,— ესალმებოდნენ ყოველ დილას. თან მის ნაცრისფერ, კრიალა ქერქს ხელს უსვამდნენ, ეფერებოდნენ; უფროსი ჯგუფის ბიჭები დაბლა დაშვებულ ტოტებზე აცოცდებოდნენ ხოლმე, შეფოთლილ შტოებზე შემოსხდებოდნენ, მღეროდნენ, მხიარულობდნენ. საღამოობით ბავშვები ჩიტალეღვის ამბებს სახლში ყვებოდნენ:

— დღეს ლეღვის ხის ტოტზე სულყველაზე მშიშარა მაიაც კი ავიდა და ტოტის სავარძელზე დაბრძანდა, მასწავლებელი გაუჯავრდა, რატომ ახვედი, არ ჩამოვარდეო.

— რა ჩემი ბრალიაო,— უთხრა მაიამ, ჩიტალეღვმა თითონ დამიწია ძირს ტოტებიო.

— რეზომ ლეღვის ხეზე ფოთლები დაკრიფა და მიფანტ-მოფანტაო, ბავშვებმა [illegible] ფოთლები რატომ მოკრიფე, ცუდი ბიჭი ხარო.

სკოლის ბავშვები მოვიდნენ, ლეღვის ხის ტოტებზე შესკუპდნენ და აქანებდნენ,— მებაღემ უთხრათ,— რას ერჩით მაგ ხეს, ბებერია, რაღა თქვენი აქან-დაქანება უნდაო.

ერთ დღეს ყველა ბავშვი შეშფოთებული მივიდა სახლში; — ორი დიდი ბიჭი ლეღვის ხის ტოტზე გავიდა, ჩაბუქნეს და ჩაბუქნეს, ტოტი მოტყდა და ნელნელა ძირს დაეშვა. მოხუცმა მებაღემ ჩამოხლეჩილ ტოტს რომ დახედა, ქუდი მოიხადა, თავი გააქნია და დანანებით თქვაო:— რაც თავი მახსოვს, ეს ხე აქა დგას, ასეთი ამბავი არასოდეს დამართვნიაო. ახლა კი ამ უმადურმა ბიჭებმა ეს რა უყვეს, საწყალ ჩიტალეღვს ყველაზე დიდი ტოტი მოახლიჩესო. მერე დაგვიძახა:— მოდით, ნახეთ, ლეღვის ხე ტირისო,— და ის ადგილი გვიჩვენა, საიდანაც ტოტი ჩამოტყდა.

ჩიტალეღვი მართლა ტიროდა, ჩამოხლეჩილი ადგილიდან ღიღრონი ცრემლები სდიოდა. მოტეხილი ტოტი კი მიწაზე ეგდო გაშოტილი, აღარც იძროდა და აღარც შრიალებდა.

მხატვარი ნანა სულემანაშვილი

ეს ჯერ

რაც უფრო დიდია ცხოველი, მით უფრო მეტი საკვები სჭირდება. ცნობილია, რომ ზღვის უდიდესი ცხოველი—ვეშაპი ყველაზე მეტ საკვებს ნთქავს. ვეშაპები უმთავრესად მედუზებით, მოლუსკებით, წყალმცენარეებით იკვებებიან, მაგრამ ხანდახან არც მსხვილმანებზე ამბობენ უარს. ერთი თექვსმეტმეტრიანი ვეშაპის კუჭში აღმოაჩინეს ორი ნახევრად გადამუშავებული ზვიგენი. ერთი თითქმის ორნახევარი მეტრი სიგრძისა იყო, მეორე—სამისა.

ზოოპარკში სპილოს ყოველდღიურ საკვებ ნორმად დადგენილია 30 კილო ჭარხალი, 30 კილო თივა, 10 კილო სტაფილო, 8 კილო პური, 5 კილო მჟავე კომბოსტო, 2 კილო ბურღული და 1 კილო შაქარი. ამის გარდა სპილოს ყოველდღიურად ეძლევა არყის ხის ფოთოლი, შვრია, ქატო, თევზის ქონი, საფუარი და მრავალი სხვა რამ.

სპილოს შემდეგ ყველაზე ღორმუცელაა ბეჰემოთი. მის ყოველდღიურ ულუფას შეადგენს კარტოფილი, თივა, პური, შვრია, მუხუდო, ქატო, ზაფხულობით კი ნორჩი ბალახიც. ბეჰემოთი დღე-ღამეში 50 კილოგრამ საკვებს ნთქავს.

ლომთევზა ყოველდღიურად 20 კილოგრამ თევზეულს მიირთმევს. ვეფხვი 8—10 კილოგრამ ხორცსა და ძვლებს ანადგურებს, სამაგიეროდ კვირაში ერთ დღეს მას ამარხულებენ—მხოლოდ რძეს ასმევენ. ლომის ყოველდღიურ ულუფად დაწესებულია 7—8 კილოგრამი ხორცი და ქორფა მწვანილი. დადგენილია, აგრეთვე, მენიუ მაიმუნებისათვის. შიმპანზეს ეძლევა მოხარშული კარტოფილი, კაკალი, მზესუმზირა, შაქარი, კარაქი, რძე, კვერცხი, საფუარი, კენკრა; სირაქლემა ემუს—ოცი სხვადასხვა კერძი.

ერთი სიტყვით, ზოოპარკის ყველა ცხოველს თავისი სუფრა აქვს და ყველა ზოოპარკს საკუთარი სამზარეულო ემსახურება, სადაც გამოცდილი მზარეულები და კულინარები ყოველდღიურად 70 სხვადასხვა სახელწოდების ტონობით პროდუქტისაგან ამზადებენ კერძებს. ასე რომ ზოოპარკის მკვიდრნი უხვ და გემრიელ საკვებს მიირთმევენ, ამიტომ თქვენს მიერ მიწოდებულმა კანფეტმა ან სხვა საკვებმა ცხოველი შეიძლება გაამსუნაგოს და დააავადმყოფოს კიდეც.

ნამუსიანი ბუის მჭრელი

თუჩკული ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნამუსიანი, ღარიბ-ღატაკი ტყის მჭრელი. ტყის პირას პატარა ქოხში ცხოვრობდა. დილით უთენია ადგებოდა, ცულს აიღებდა და ხის საჭრელად მიდიოდა. მთელი დღე მუშაობდა. მოსალამოვებულს კი შინ ბრუნდებოდა, ცოლ-შვილში, ისინიც თავის მხრივ თავდაუზოგავად შრომობდნენ, მაგრამ მათს სიღარიბეს ბოლო მაინც არ უჩანდა.

ერთხელ, შუადღისას, ტყის მჭრელი მოჩხრიალე ნაკადულის პირას ჩამოჯდა. მოულოდნელად ცული წყალში ჩაუვარდა. ტყის მჭრელი შეწუხდა, ეს ცული იყო ჩვენი მარჩენალი, უმისოდ ხომ შიმშილით დავიხოცებითო,— თავი ხელებში ჩარგო და ატირდა. უცებ მსუბუქად მოლივლივე ტალღებიდან ტკბილი ხმა შემოესმა: „ასწიე თავი, მეგობარო, რა გატირებსო?"—და წყლის ფერია გამოეცხადა.

— ცული ჩამივარდა წყალში, — უთხრა ტყის მჭრელმა,—ის იყო ჩემი ოჯახის მარჩენალი, თავს მერჩიაო.

ფერია თვალის დახამხამებაში გაქრა, ერთი წამის შემდეგ კი კვლავ გამოჩნდა წყლის ზედაპირზე. ხელში ოქროს ცული ეჭირა.

— შენი ცულიაო?—ჰკითხა ხის მჭრელს.

— რას ბრძანებთ! რა უგავს ჩემსას! ეგ ჩემს ცულს ათასჯერ იყიდის და გაყიდისო,— მიუგო ხის მჭრელმა.

ფერია კვლავ წყალში გაუჩინარდა და ახლა ვერცხლის ცული ამოიტანა.

— ეს არის შენი ცულიო?

— არა, — იყო პასუხი, — არც ეგა! ეგეთი ძვირფასი ცული მე არ მქონიაო!

ფერიამ კიდევ ერთხელ ჩაყვინთა და ამჯერად ტყის მჭრელის ცულით გამოჩნდა.

— აი, ჩემი ცული!—შესძახა გახარებულმა ხის მჭრელმა.

— მართალი ხარ,—კეთილი ფერიამ,—ეს არის შენი ცული, შენი ლუკმა-პურის მომპოვებელი! რომ არ იცრუე, ოქროს და ვერცხლის ცულებიც შენ გეკუთვნისო.

გახარებულმა ტყის მჭრელმა ფერიას მადლობა უძღვნა, მოიკიდა ძვირფასი ტვირთი და თავისი ქოხისკენ გასწია.

გზაში უკნარა მეზობელი შემოეყარა.

— ოჰო, ეს ძვირფასი ცულები სად გიშოვნიაო,—გაიკვირვა.

ტყის მჭრელმა უამბო, რაც გადახდა. ზარმაცი მდინარისკენ გაეშურა, ბედის საცდელად, თავისი ცული წყალში გადაეგდო და მოთქმა-გოდება დაიწყო, ცული დავკარგეო!

ფერიამ წყლიდან ოქროს ცული ამოიტანა.

— ეს არის შენი ცულიო?—ჰკითხა.

— ჰო,—დაიყვირა გახარებულმა ზარმაცმა,—ეს არის ჩემი ცული.

— არა,—უთხრა ფერიამ,—შენი კი არა, ჩემი ცულია. სიცრუისთვის კი შენს ცულსაც ვერასოდეს ვერ მიიღებო.

ასე დაისაჯა სიცრუისა და სიხარბისათვის უკნარა და მატყუარა კაცი.

ორგზნ. სოსო ლეგანიძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

წყლის კაკალი

ზიორგი დათუაშვილი

დასავლეთ საქართველოს მდორე წყალსატევებში დილაობით ან საღამოს საათებში გამოჩნდება ხოლმე პატარა ზომის ლამაზი, თეთრი ყვავილი. მისი დაკბილული ფოთლები წყალში არ იძირება, რადგან ყუნწებზე მაერით სავსე სილრუეები აკვს, რომლებიც მაშველი რგოლების მსგავსად აჩერებენ მათ წყლის ზედაპირზე. ხშირი ფოთლების საფარველი ტბას მწვანე მდელოს შესახედაობას აძლევს.

აგვისტოში ფოთლები ყითლდება, დედამიწენარეს წყდება და წყალში ცურავს. ყვავილის მოღუნულ ყუნწზე კი მცენარე იკეთებს ნაყოფს—ᲐᲘ-დან 5 სანტიმეტრამდე სიგრძის კაკალს.

ეს მცენარეა წყლის კაკალი. მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უწოდებენ რქიან კაკალს, წყლის წაბლს, ბალახწაბლას, ჭულუმბურს, ოხობიას და სხვ.

წყლის კაკლის ნაყოფს მკვრივი, რქიანი ნაჭუჭი აქვს, მას არც თევზი ეტანება, არც იხვი, არც თაგვი. ნაყოფის თეთრი გული ძალიან გემრიელი და უუთოანია. იკმარება უმადაც, მარილწყალში მოხარშულიც. განსაკუთრებით გემრიელია კარტოფილივით ცხელ ნაცარში შემწვარი. ინდოელები მარილითა და წიწაკით მიირთმევენ, ხარშავენ შეკამანდს. წყლის კაკლისაგან მზადდება ბურღული და ფქვილი—მისგან გამომცხვარი პური გემოთი ხორბლის პურსა ჰგავს.

წყლის კაკალს იყენებენ მედიცინაშიც—დიზენტერიის საწინააღმდეგოდ.

წინათ ეს მცენარე ბევრგან ხარობდა, ახლა კი გადაშენების გზაზეა და მთლიანად რომ არ გაქრეს, საჭიროა ხელი შევუწყოთ მის გავრცელებას. ამ საქმეში დახმარების გაწევა თქვენც შეგიძლიათ, ბავშვებო!

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ განთქმული საკურორტო დაბაა სამხრეთ საქართველოში, ადიგენის რაიონში. ასევე ჰქვია მახლობელ სოფელსაც. სოფელი აბასთუმანი არის ზუგდიდის რაიონშიც.

ამ სახელწოდებაში ერთი ბგერა შეცვლილია. მისი ძველი ფორმაა აბასთუმანი, რაც აბასთა (აბასების უბანს ნიშნავს). აბასი კაცის სახელი იყო ძველად, საიდანაც მიღებულია გვარები: აბასაშვილი, აბასაძე, აბაზაძე.

ადამიანის სახელზე ან გვარზე „უბნის" დართვით მიღებული სოფლის სახელები საქართველოში სხვაც ბევრია: გოლათუბანი, გუდათუბანი, მაქათუბანი, ყიფიანთუბანი, რუსაანთუბანი, ყველაანთუბანი, ჰეჰელაანთუბანი, გოგოლესუბანი, კიმოთესუბანი და სხვა.

ზოგჯერ „უბანი" ერთვის ადგილმდებარეობის დამახასიათებელ რომელიმე სიტყვას ან მცენარის, ცხოველისა თუ ფრინველის სახელს და ასე მიიღება ადგილის სახელწოდება. ასეთია, მაგალითად, სოფლების სახელები: ვაზისუბანი, ვარდისუბანი, ჩაისუბანი, ჭალისუბანი, გორისუბანი, კლდისუბანი, მთისუბანი, ქედისუბანი, ციხისუბანი, ჯვარისუბანი, წყაროთუბანი, ჯიქთუბანი, ხუნდისუბანი, ახალუბანი, გარეუბანი, ზენუბანი, ზემოუბანი, წინუბანი, წიაღუბანი (ნიშნავს გაღმა უბანს) და სხვანი.

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე

„ᲓᲘᲚᲘᲡ" ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბავშვები, იცით შეგიმჩნევიათ, რომ ყველა კონვერტს უკანა მხარეს ათი ციფრი აქვს მიწერილი, 0-დან 9-მდე. მოყვანილებით ეს ციფრები ერთგვაროვანია, სიმაღლით—ტოლი. კონვერტის პირითა მხარეზე, მარცხენა დაბალ კუთხეში კი ექვსციფრიანი უჯრებია შემოხაზული. როცა წერილს გზავნით, ჩვეულებრივი სიტყვიერი მისამართის გარდა, კონვერტს ციფრებიც უნდა მიაწეროთ. ამისათვის უნდა იცოდეთ აღრესატის (ე. ი. იმის, ვისაც წერილს უგზავნით) ინდექსი ანუ ციფრობრივი მისამართიც. საკუთარი მისამართის ქვეშ კი უნდა მიაწეროთ თქვენი საფოსტო ინდექსი (მისი გაგება ფოსტაში შეიძლება).

ბევრი თქვენგანი იცით გაიკვირვებს: ეს რა გამოუგონიათ, რა საჭიროა ამდენი წვალება?

ახლავე აგიხსნით: ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად მილიონობით წერილი იგზავნება. წერილები სწრაფად გადაქვთ თვითმფრინავებსა და მატარებლებს. სწრაფად კი გადაქვთ, მაგრამ მათი დახარისხება, ანუ თითოეულისთვის თავისი მისამართის მიჩენა, ჭირს. ადამიანი საათში მხოლოდ ორი ათას წერილს თუ გადაარჩევს. ასე რომ, ოღონ წარმოსადგენია, წერილების ამ გორების გადასარჩევად რამდენი ათასობით ადამიანი იქნება საჭირო!

ამიტომ მეცნიერებმა შექმნეს წერილების დამახარისხებელი საგანგებო მანქანები. მაგრამ იმ მანქანებს მხოლოდ ციფრების წაკითხვა შეუძლიათ. თანაც მანქანა მხოლოდ ისე დაწერილ ციფრებს არჩევს, როგორიც კონვერტზეა მითითებული. ციფრები შეიძლება დაიწეროს ყველა ფერის მელნითა და პასტით, გარდა ყვითლისა და მწვანისა.

ასე რომ, თუ გინდათ „ღილამ" მაღე მიიღოს თქვენი გამოგზავნილი ბარათი, კონვერტს აუცილებლად მიაწერეთ ჩვენი ინდექსი: 380096.

380096

გამოსავალი გამონახე





შ ა რ ა დ ა

ცხოველთა მეფის სახელი
კიდური მარცვლით მცირდება,
მერე თავსართად ანბანის
მესამე ასო გჭირდება.
ნისლის მეორე სახელიც
გეცოდინება ნამდვილად
და ალბათ შუა მარცვალსაც
ჩამოაცილებ ადვილად.
ახლა არც მათი შეკრება
გაგიძნელდებათ პატარებს,
დატრიალდება და მყისვე
მსოფლიოს შემოგატარებთ.

შოთა ამირანაშვილი

ა ნ ა გ რ ა მ ა

ბავშვებო, გადააქციეთ ეს სიტყვები სხვა სიტყვებად.

კრავი	კევრი
მეტრი	თაფლი
ზარი	ლექსი



საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს საბავშვო ჟურნალი უმცროსკლასელთათვის

გამოცემის 58-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი ლადო გუდიაშვილისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ მდივანი), მანანა კოზახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური, გივი ჟიჟინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 28/VII-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IX-80 წ., ქაღალდის ზომა 60×90⅛ ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 171.650. შეკვ. № 2151. „Дила" № 10. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ბ. 22/144

ლადო გუდიაშვილი (1896—1980)

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

განყოფილება „ცისარტყელა“ გთავაზობთ დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებს.

რატომ არის ლადო გუდიაშვილი დიდი მხატვარი? იმიტომ, რომ მისი ნახატების სილამაზე და აზრი ნამდვილქართულია და ამავე დროს ქვეყნად ყველა ერის ადამიანისათვის გასაგები.

ადრე ლ. გუდიაშვილი ჩვენს ჟურნალში, ჩვენი მკითხველებისთვისაც ხატავდა, ხატავდა მათსავით მშვენიერ, ნდობით მზირალ, წყლიანთვალება შვლებს, რქებგადაწყობილ ირმებს, საქართველოს ბუნების, ჩვენი სოფლის, ჩვენი გაზაფხულის სურათებს, აფორმებდა ხალხურ ზღაპრებს...

შველივით ნდობით აღსავსე გამოხედვა და სათნოდ აღერილი ყელი აქვს იმ გოგონასაც, რომლის პორტრეტიც გარეკანის პირველ გვერდზეა მოთავსებული. „ჩემი ანანო“ დაარქვა მას მხატვარმა. ანანოს ხელზე და მხარზე თითო მტრედი უზის, სიმშვიდის და სიკეთის განსახიერებად. გუდიაშვილის ანანო ყველა ბავშვივით სასიყვარულო და საიმედოა.

„XII საუკუნე“ ჰქვია ნახატს, რომელზეც თქვენ თამარ მეფის სახეს შეიცნობთ. მაგრამ ეს თამარის პორტრეტი კი არ არის, არამედ საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის განსახიერებაა. მშვენიერებით გასხივოსნებულია თამარის სახეც და სურათის მთელი ფონიც — ოქროსფერი, რომელიც ზოგჯერ მწვანე და ლურჯ ფერებშია ჩაქსოვილი.

კიდევ ერთი ნამუშევარი—„პასტორალი“. პასტორალი ფრანგული სიტყვაა და მწყემსების ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებს ნიშნავს. ლ. გუდიაშვილის ნახატზე კი ქართველი მწყემსები — გოგონა და ბიჭი ცხვრებს მწყემსავენ, ნიამორებსა და ქურციკებს აძოვებენ, ჩვენებურ სალამურს ამღერებენ... ცაც ქართულია — მუქლურჯი, ლილისფერი, ბორცვები — მუქზურმუხტი; მთები კი — მყინვარწვერიანი და ლურჯი ბინდის ფერისა... ასეთ ფერზე უთქვამს დიდ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია...“